საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის

2018 წლისა და 2019 (1 იანვარი-1ივლისი) წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

შესავალი 3
შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსტიტუციური განვითარება 3
დეპარტამეტნის საქმიანობის 2018 წლის მოკლე მიმოხილვა 6
დეპარტამეტნის საქმიანობის 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა (1იანვარი-1 ივლისი) 10
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა 12
საერთაშორისო თანამშრომლობა და მიმდინარე პროექტები 12
სამომავლო გეგმები 15

შესავალი

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსტიტუციური განვითარება

2015 წლის 2 მარტს შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც დღეის მონაცემებით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას შემდეგი მიმართულებებით:

1. **სამუშაო ადგილზე შრომის პირობების ინსპექტირების მიმართულებით**

- ✓ **შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამა N682;**
- ✓ **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;**

2. **იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიმართულებით**

- ✓ **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილება;**

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსტიტუციური გაძლიერებისა და განვითარების მიზნით 2018 წლის დასასრულს შეიქმნა ორი სამმართველო: **ინსპექტირების სამმართველო** და **მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამმართველო,** რომელთა დაკომპლექტება 2019 წლის მაისიდან დაიწყო.

ორივე სამმართველოსთვის ჯამში გამოიყო შვიდი საშტატო ერთეული. საშტატო ერთეულები სამმართველოებში შემდეგნაირად არიან წარმოდგენილნი:



დღევანდელი მონაცემებით დეპარტამენტში დასაქმებულია სულ 37 პირი. **4 საშტატო** ერთეული და **33 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-შრომის ინსპექტორი**. მათგან ***2 საშტატო ერთეული მიმდინარე წლის მაისში*** კონკურსის შედეგად დასაქმედნენ. (მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი და ერთი მთავარი სპეციალისტი ინსპექტირების სამმართველოში.) ამჟამად გამოცხადებულია კონკურსი დარჩენილი ვაკანტური ადგილების შესავსებად. ასევე მიმდინარე გამოწვევების ფონზე

იგეგმება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა (შრომის ინსპექტორთა) 100 ერთეულამდე გაზრდა.

2019 წელს დეპარტამენტის დებულებით განისაზღვრა **სამმართველოთა კომპეტენცია**, რომელთა აღსრულება დაგეგმილია სრულიად დაკომპლექტების შემდგომ. ამ ეტაპისთვის სამმართველოების ფუნციები დეპარტემნტს აქვს შეთავსებული.

ინსპექტირების სამმართველოს კომპეტენციაა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების ინსპექტირება და გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამის ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება; ასევე ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევა/აღრიცხვა; იძულებითი შრომის აღმოფხვრის მიზნით პრევენციული ზომების მიღება; დისკრიმინაციული შემთხვევების გამოვლენისას მათი შესწავლა, აღრიცხვა და რეკომენდაციების შემუშავება. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების გაცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირისათვის; შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა; შრომის უსაფრთხოების სფეროში გასაფორმებელი მემორანდუმების/ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებაში ჩართვა, სამინისტროს სხვა დარგობრივ დეპარტამენტებთან კოორდინაციით; გარდა ამისა, უფლებამოსილების ფარგლებში განცხადებების, საჩივრების განხილვასა და შესაბამისი რეკომენდაციებს შემუშავებაში ჩართულობა; საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის ფუნქციის განხორციელება სასამართლოში.

მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამმართველოს კომპეტენციაა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების ინსპექტირების შედეგების მონიტორინგი და შეფასება; ასევე მოპოვებულ მონაცემთა შეგროვება და სტატისტიკის წარმოება/ანალიზი, შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ტრენინგის ჩატარების ორგანიზება/ხელშეწყობა; შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების მომზადება;განცხადებების, საჩივრების განხილვაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; წარმომადგენლობის განხორციელება სასამართლოში და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით;ასევე კონსულტაციის გაწევა შრომითი ურთიერთობების, შრომის უსაფრთხოების სფეროში დაინტერესებული პირებისათვის; შრომის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

რაც შეეხება შრომის ინსპექტორთა დაკომპლექტებას. 2019 წლის იანვრიდან განხორციელდა მათი დანაწილება სექტორული მიმართულებით. დაგეგმილია დამატებით, ექსპერტული ცოდნის მინიჭების მიზნით სპეციალიზირებული სწავლებები, სხვადასხვა სექტორული მიმართულები.

დეპარტამენტი დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფილის წარმომადგენლებით

- მშენებელი-ინჟინრები
- სამთო ინჟინრები
- ბიზნეს ინჟინრები
- სან.ჰიგიენისტები და ზოგადი პროფილის ექიმები
- სხვა ტექნიკური პროფილის წარმომადგენლები
- იურისტები
- სოციალ-პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენლები
- ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

დღეის მონაცემებით დეპარტამენტი გენდერულ ჭრილში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გენდერულ ჭრილში
2019 წლის 1 ივლისის მონაცემები



დეპარტამეტნის საქმიანობის 2018 წლის მოკლე მიმოხილვა

2018 წელს დეპარტამენტმა სამივე მიმართულებით ინსპექტირება განახორციელა 465 ობიექტზე. გარდა ამისა, განმეორებითი ინსპექტირება ჩატარდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით 11 ობიექტზე, ხოლო შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 104 ობიექტზე.

1. **საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" შესაბამისად ინსპექტირება - 58 კომპანიის 87 ობიექტზე განხორციელდა. ამავე კანონის შესაბამისად განმეორებითი ინსპექტირება - 11 ობიექტზე**

შემოწმება განხორციელდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) მიხედვით ასახულია დიაგრამაზე.



წყარო: შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობები საქართველოს კანონთან ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" და სხვადასხვა ტექნიკურ რეგლამენტებთან, რომლებზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. დიაგრამზე წარმოდგენილი შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირები.



პირველ ეტაპზე დაფიქსირებული შეუსაბამობებისთვის მეწარმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა გაფრთხილება. გაფრთხილება გულისხმობს დამსაქმებლისთვის გონივრული ვადის მიცემას, რომლის ოდენობის განსაზღვრა ხდება დამსაქმებელთან შეთანხმებით, არსებული დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ განმეორებითი ინსპექტირება ჩატარდა 11 ობიექტზე. ექვსმა სრულად გამოასწორა დარღვევები, ხოლო ხუთს, დარღვევათა გამოუსწორებლობების გამო, კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000-5000 ლარის ოდენობით და ისევ მიეცა ვადა შეუსაბამობათა გამოსასწორებლად.

2. **საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბერი №603 დადგენილება „შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ფარგლებში - 109 კომპანიის 224 ობიექტზე.**

ინსპექტირება განხორციელდა როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში: აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი. შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეები მიხედვით ასახულია დიაგრამაზე.

N603 დადგენილებით შემოწმებულ ობიექტთა რაოდენობა სეკ 006-2016 -ის



წყარო: შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი



გონივრული ვადის გასვლის შემდეგ 104 ობიექტზე მოხდა განმეორებითი ინსპექტირება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში: სამეგრელო, აჭარა, გურია, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, თბილისი. აღსანიშნავია რომ შემოწმებული კომპანიების მხოლოდ 9%-მა შეძლო გაცემული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება.

3. **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად გეგმური ინსპექტირება - 152 და 2 არაგეგმური შემოწმება.**

გეგმური ზედამხედველობა ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება N01-29/ო იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების 2018 წლის გეგმისა და შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე) დამტკიცებული ყოველწლიური გეგმის მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის N112 დადგენილების საფუძველზე ინსპექცია იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას, რომლის საფუძველზეც 2018 წელს შეამოწმა 154 კომპანია.

არაგეგმური ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გონივრული ეჭვის არსებობისას, რაც დასტურდება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესახებ განცხადებით, საჩივრით ან ცხელ ხაზზე დატოვებული შეტყობინებით.

152 ობიექტზე -ზე განხორციელდა გეგმური, ხოლო 2-ზე არაგეგმური შემოწმება. არაგეგმური შემოწმება მოხდა ცხელ ხაზზე შემოსული ზარის და დეპარტამენტში შემოსული წერილის საფუძველზე.

შემოწმების შედეგად კომპანიებში არ გამოვლინდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნები.

4. უბედური შემთხვევები სამუშაო ადგილზე

2018 წლის აგვისტოდან დეპარტამენტს დაემატა ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევისა და აღრიცხვის ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც თავის მხრივ დამსაქმებელს უჩენს ვალდებულებას აცნობოს ზედამხედველ ორგანოს უბედური შემთხვევის შესახებ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-11/ნ ბრძანების შესაბამისად.

საწარმოში უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინება **გაკეთდა 10 კომპანიის მიერ.** ორმა საწარმომ შეტყობინება არ გამოაგზავნა, რის გამოც ადმინისტრაციული სახდელის ზომად გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

2018 წელს გამოკვლეულ იქნა **32 უბედური შემთხვევა.** იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებშიც მომხდარი ინციდენტები მოკვლეულ იქნა დეპარტამენტის მიერ, სეკ 006-2016-ის სფეროების მიხედვით ასახულია დიაგრამაზე.



წყარო: შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი

დეპარტამეტნის საქმიანობის 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა (1იანვარი-1 ივლისი)

2019 წლის იანვრიდან 18 აპრილამდე პერიოდში ინსპექტირება განხორციელდა 386 ობიექტზე ხოლო განმეორებითი ინსპექტირება -59 ობიექტზე:

ა) საქართველოს ორგანული კანონი **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“** შესაბამისად ინსპექტირება - 200;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“** შესაბამისად **განმეორებითი ინსპექტირება** - 59;

გ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბერი **№682 დადგენილება** „შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ფარგლებში 86;

დ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის **N112 დადგენილება** იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად გეგმური ინსპექტირება - 100.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად
შემოწმდა 200 ობიექტი ეკონომიკური საქმიანობის სეკ 2016-ის შემდეგი სექტორების მიხედვით: A- სოფლის მეურნეობა, B - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერი; C - დამამუშავებელი მრეწველობა; D - ელექტროენერგიის მიწოდება; F - შენებლობა; H - ტრანსპორტი და დასაწყობება; G- საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა ძირითადად **სისტემური ხასიათის დარღვევები,** რაც გამოიხატება იმაში, რომ ობიექტებზე <u>**არ არის შრომის უსაფრთხოების მართვის გამართული სისტემა**</u>.

ძირითადად ობიექტებზე გამოვლინდა ისეთი დარღვევები, როგორიცაა: რისკების შეუფასებლობაზე, უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის არ ყოლა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უქონლობა/ გამოუყენებლობა, ალკოჰოლის უკონტროლობა, კოლექტიური დაცვის საშუალებების უგულებელყოფა, პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისთვის მოუმზადებლობა, სწავლება/ტრენინგების ჩაუტარებლობა, მიკროკლიმატის უკონტროლობა, მანქანა-დანადგარების უსაფრთხოების უკონტროლობა, უბედური შემთხვევის დაზღვევის უქონლობა, სწავლების გეგმის უქონლობა, მომეტებული ხმაური, მაღალი წნევის ბალონების განთავსების წესის დარღვევა, კუსტარული დანადგარების გამოყენება, დასაქმებულთა უბედური შემთხვევის დაზღვევით დაუზღვევლობა.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ **რეინსპექტირება** გაცემულ მითითებებზე რეაგირების გადამოწმების მიზნით განხორციელდა **59 ობიექტზე.** ექვსმა სრულად გაითვალისწინა მითითებები, ხოლო 53-ს ადმინისტრაციული სახდელის ზომად ჯარიმა დაეკისრა 1000 – 8000 ლარის ფარგლებში. გარდა ამისა, კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის სხვადასხვა სახის

ჯარიმა 1000 – 14000 ლარის ფარგლებში დაეკისრა მეწარმეებს: დაურეგისტრირებლობისთვის, უბედური შემთხვევის შეუტყობინებლობისთვის, ზედამხედველი ორგანოსთვის ხელის შეშლისთვის, შეჩერებული საქმიანობის განახლებისთვის უნებერთვოდ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის სასამართლოს შუამდგომლობით მიემართა 63-ჯერ, სამუშაო პროცესების/სამუშაო უბნის შეჩერებისა და ინსპექტირების განხორციელების მოთხოვნით, აქედან 12 ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზით. **63-ვე შემთხვევაში შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. აღნიშნული ობიექტებიდან სულ შეჩერდა 34 ობიექტი.**

საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად **45 დამსაქმებლისგან** მიღებულ იქნა შეტყობინება საწარმოში მომხდარი **უბედური შემთხვევის შესახებ.** საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად **დაიღუპა 22 და დაშავდა 30** დასაქმებული.

ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა მოცემულია დიაგრამაზე.



B - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება
C - დამამუშავებელი მრეწველობა
D- ელექტროენერგიის მიწოდება
F - მშენებლობა
H - ტრანსპორტი და დასაწყობება
G - საბითუმო და საცალო ვაჭრობა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბერი **№682 დადგენილება** ,,შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ფარგლებში შემოწმდა **86 ობიექტი** როგორც **<u>შრომის უსაფრთხოების, ასევე შრომის კანონმდებლობის მიმართულებით</u>**. თოთოეულ ობიექტზე გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისი დარღვევების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის **№112 დადგენილება** იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ, შესაბამისად გეგმური ინსპექტირება განხორციელდა **100 ობიექტზე.** იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნები **არ გამოვლენილა.**

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა

შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დეპარტამენტი ახორციელებს 01-25/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით ნაკისრ ვალდებულებებს. დღემდე „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის“ განხორციელების მიზნით რეგისტრაციისთვის მომართა **21-მა ორგანიზაციამ**, რომელთაგან **13-მა** ორგანიზაციამ გაიარა რეგისტრაცია. დანარჩენზე კვლავ მიმდინარეობს მუშაობა.

გარდა ამისა, **5 ორგანიზაციამ** მოგვმართა ***საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამის*** საქართველოში განხორციელების მიზნით, რომელთაგან **2-ს** მოპოვებული აქვს განხორციელების უფლება.

აღნიშნულ ორგანიზაციებში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა უზრუნველყო სამინისტროში რეგისტრირებული სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ **ინფორმაციის საჯაროობა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე [1]და დეპარტამენტის FB გვერდზე განთავსებით[2].**

დეპარტამენტი სწავლების პროცესში ახორციელებს სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის გეგმურ ან/და არაგეგმურ შემოწმებას და დარღვევების შემთხვევაში დეპარტამენტი გასცემს მითითებებს.

დეპარტამენტი ახორციელებს სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რეესტრს. დღეის მონაცემებით **806 სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტია.**

საერთაშორისო თანამშრომლობა და მიმდინარე პროექტები

[1] სამინისტროს ვებგვერდი : https://www.moh.gov.ge/ka/727/ (ნახვის თარიღი - 01/07/2019)

[2] დეპარტამენტის FB გვერდი: https://www.facebook.com/650399312021120/photos/a.650407615353623/776322386095478/?type=3&theater

1. **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით** მიმდინარეობს თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებით:

- *ინსპექტორთათვის შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფა;*
- *შრომის ინსპექციის საქმიანობისთვის დაგეგმვისა და მონიტორინგის სახელმძღვანელოსა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება;*
- *შრომის ინსპექციის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება;*
- *სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის დაზღვევის წესებისა და პროცედურების შემუშავება;*

2. **ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში ახორციელებს** EU TWINNING Project-ს, რომლის მთავარი ბენეფიციარი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტია. მიზნად ისახავს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის მიზნით მომზადებას/დამუშავებას. პროექტის განხორციელება დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

3. დეპარტამეტნი **SOCIEUX+-ის** (ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტი სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მიმართულებით) ტექნიკური მხარდაჭერის პროექტში ჩაერთო, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ბიზნეს გაერთიანებებისა და სავაჭრო პალატებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. ასევე შრომის ინსპექტორების ტექნიკური უნარების განვითარება. აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი - მრგვალი მაგიდის ფორმატი ტექნიკური ტრენინგი განხორციელდა მიმდინარე წლის 24-28 ივნისს.

4. **IOM - თან** თანამშრომლობით დეპარტამენტი ტრეფიკინგის/იძულებითი შრომის მიმართულებით კანონის ეფექტური აღსრულების მექანიზმის დანერგვის მიზნით უზრუნველყოფს არსებული მეთოდოლოგიის შეცვლას.

5. გერმანიის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებულ იქნა მობილური აპლიკაცია "მშენებლობის უსაფრთხოება", რომელიც BG BAUSTEINE-ის ქართული ანალოგია. „სამშენებლო ინდუსტრიაში უბედური შემთხვევის დაზღვევასა და პრევენციაზე უფლებამოსილი სადაზღვევო ინსტიტუტის" BG BAU-სთან 2019 წლის 15 ივნისს გაფორმდა **თანამშრომლობის მემორანდუმი,** აღნიშნული აპლიკაციის გამოყენებისა და სამშენებლო მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

აპლიკაცია ხელმისაწვდომია IOS და ANDROID სისტემის მქონე სმარტფონებისთვის

6. დეპარტამენტმა განაახლა შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციასთან (IALI) თანამშრომლობა;

7. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOSH) ასევე პროფესიული უსაფრთოებისა და ჯანმრთელობის ეროვნულ საგამოცდო ორგანოსთან (NEBOSH);

8. დეპარტამენტმა განაახლა თანამშრომლობა სამუშო ადგილზე ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების ევროპულ სააგენტოსთან (EU-OSHA);

9. ტექნიკური მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის ქიმიურ სააგენტოსთან, რომელიც ფინეთში მდებარეობს;

10. მიმდინარეობს მოლაპარაკება გამოცდილების გაზიარების მიმართულებით პოლონეთის სახელმწიფო შრომის ინსპექციასთან;

სამომავლო გეგმები

1. 2019 წლის 1 სექტემბრიდან ორგანული კანონი უნდა გავრცელდეს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე და უნდა ამოქმედდეს უპირობო დაშვების მექანიზმი;
2. **ორგანული კანონის ფარგლებში უნდა დამტკიცდეს:**

✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა, რაც მოიაზრებს ინსპექტორთა რაოდენობის 100 ერთეულამდე გაზრდას;

✓ სამუშაო სივრცეში შესვლისა და შემოწმების წესისა და პირობების დამტკიცება;

✓ რისკის შეფასების წესი;

✓ იმ რისკის შემცველ სამუშაოთა ნუსხის განსაზღვრა, რომელიც საზიანოა ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველია ორსული და მეძუძური ქალებისთვის და 18 წლამდე პირებისთვის;

✓ სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის დაზღვევის წესი და პროცედურები;(ვრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობებზე)

✓ მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება;

3. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ განხორციელდება ცვლილება, რომლითაც ზედამხედველ ორგანოდ განისაზღვრება შრომის ინსპექცია. აღნიშნული მუხლი ამოქმედდება ეტაპობრივად, სექტორების იდენტიფიცირების საფუძველზე, რომელზეც 2020 წლიდან გავრცელდება ზემოხსენებული, ხოლო 2022 წლიდან კი დაფარავს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს;
4. დეპარტამენტი რაოდენობრივი ზრდის პარალელურად **თემატურ ჯგუფებად დაკომპლექტება და ტექნიკური/სექტორული მიმართულებით გადამზადება;**
5. ჩამოყალიბებული სტრუქტურული ერთეულების, ინსპექტირების სამმართველო და მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამმართველო, დაკომპლექტება სრულყოფილი ფუნქციონირება.
6. მოკლევადიანი (2 წლიანი) და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება;

7. საქართველო - ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებისთვის სრულიად იქნება ასახული 2019 წლისათვის მისაღები 4 დირექტივა;
8. ევროკავშირის დამმობილების პროგრამის ფარგლებში 2019-2022 წლებისთვის მისაღები დირექტივების დამუშავება შრომის უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში;
9. დეპარტამენტის ელექტრონული საქმისწარმოების პროცესზე გადასვლა (პროგრამული უზრუნველყოფა და ცენტრალურ სერვერთან დაკავშირება)
10. ვებ-გვერდის, Youtube -არხის შექმნა შექმნა და მობილური აპლიკაციის შექმნა;
11. სამშენებლო სექტორში ერთობლივი ინსპეტირებები განხორციელდება სხვადასხვა ზედამხედველ ორგანოებთან ერთად;
12. **ვიდეო რგოლების მომზადება:**
    - ✓ ტექნიკური რეგლამენტების ვალდებულებების თაობაზე;
    - ✓ სექტორული მიმართულებით არსებული მოთხოვნების ცნობიერების ასამაღლებლად იხ.ლინკი;
    - ✓ შრომის ინსპექციაში ვაკანსიების გამოცხადებისას;
    - ✓ შრომის უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით დასაქმებულთა მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
    - ✓ დაგეგმილ ცვლილებებზე;
    - ✓ შრომის ინსპექციის საქმიანობაზე;
    - ✓ ცნობიერების ასამაღლებელი ვიდეოკლიპების შემუშავება და დეპარტამენტის